

## სოციალური მუშაობა ძალოვან სტრუქტურებში

თეონა გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაკის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა - სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2012

## აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოციალური მუშაობა საკმაოდ აქტიურად იკიდებს ფეხს, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში. სოციალური მუშაკების როლი თანდათან უფრო იზრდება და ხდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით. მოცემული ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს სამთავრობო სექტორზე, კერძოდ ძალოვან სტრუქტურებზე. ეს არის მეტ-ნაკლებად ჩაკეტილი სისტემა და საკმაოდ რთულია ამ სტრუქტურებში ახალი ინსტიტუტების შესვლა.

საკითხის შესწავლა ეფუძნება თვისებრივ კვლევას. საკვლევი თემა ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა სოციალური მუშაკის როლი ძალოვან სტრუქტურებში, მათი ფუნქციები და მუშაობის პროცესში არსებული ხარვეზები.

კვლევის მიგნებები შესაძლოა გამოყენებული იქნეს სოციალური მუშაობის გასაუმჯობესებლად აღნიშნულ სტრუქტურებში.